



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1745

19 / ნოემბერი / 2019 წ.



KA000060129834419

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 ივნისის N04/805 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 ივნისის N04/805 ბრძანებაში „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე“ და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „6. ნონა სილაგავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამბადასმულია
ელექტრონულად

გონა კურდღელია